ა(ა)იპ - „ბათუმის კულტურის ცენტრი“

ქ. ბათუმი „11“ ნოემბერი, 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 168/01-03

ქ. ზუგდიდში ბერძენთა ასოციაციის ახალგაზრდებისათვის საექსკურსიო ტურის მოწყობის მიზნით მეგობრობის სახლის ,,ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაცია“-ს დაფინანსების შესახებ

მეგობრობის სახლის ,,ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაცია“-ს თავმჯდომარის ქ-ნ მარია მოროზოვას 2016 წლის 11 ნოემბრის N343 წერილით ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“-ს ეცნობა, რომ ბერძენთა ასოციაციის ახალგაზრდებისათვის ქ. ზუგდიდში ქართული ისტორიული ძეგლების (მარტვილი, დადიანების სასახლე) მონახულების მიზნით ასოციაცია გეგმავს ექსკურსიის მოწყობას, რომლის ფარგლებშიც წერილით საბოლოოდ მოთხოვნილია ღონისძიების დაფინანსება წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო (ინვოისები) დოკუმენტაციის შესაბამისად.

წინამდებარე საკითხზე ცენტრის საფინანსო სამსახურის უფროსის ზ. ბერიძის 2016 წლის 11 ნოემბრის N487 მოხსენებითი ბარათით განიმარტა, რომ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“-ს 2016 წლის ბიუჯეტით დაფინანსებულია დიასპორების ღონისძიებები, რომლის თანახმადაც მიზანშეწონილი იყო მოთხოვნილი თანხის 1180 (ერთი ათას ას ოთხმოცი) ლარის გამოყოფა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“-ს 2016 წლის ბიუჯეტის, მეგობრობის სახლის ,,ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაცია“-ს თავმჯდომარის მ. მოროზოვას 2016 წლის 11 ნოემბრის N343 წერილის, ცენტრის საფინანსო სამსახურის უფროსის ზ. ბერიძის 2016 წლის 11 ნოემბრის N487 მოხსენებითი ბარათისა და ცენტრის წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ქ. ზუგდიდში ბერძენთა ასოციაციის ახალგაზრდებისათვის საექსკურსიო ტურის მოწყობის მიზნით მეგობრობის სახლის ,,ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაცია“-ს ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“-ს 2016 წლის ბიუჯეტის დიასპორების ღონისძიებების სახსრებიდან გამოეყოს თანხა 1180 (ერთი ათას ას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.
2. დაევალოს ცენტრის საფინანსო სამსახურს (ზ. ბერიძე) უზრუნველყოს თანხის გამოყოფა და ღონისძიების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის სათანადო ღონისძიებათა განხორციელება.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ცენტრის დირექტორის მოადგილეს ბ-ნ ნ. მაკარაძეს.
4. ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა დაევალოს ცენტრის საქმის წარმოების სპეციალისტს ქ-ნ ნ. ნუცუბიძეს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი ჯ. საბაშვილი